ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 ნოემბრის ბიუროს მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2021 წლის 15 ნოემბრის მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 24

დ. ხარაგაული
15 ნოემბერი 2021 წელი

9 აპრილის ქ. #15

სხდომა მიმდინარეობდა ნაწილობრივ სხდომათა დარბაზში დასწრებით და ონლაინ ჩართვით
სხდომას თავმჯდომარეობდა მანანა ბარბაქაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე -საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე (ონლაინ),

ოთარ ლურსმანაშვილი საკრებულოს იურიდიული,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ,

პავლე კიკალიშვილი საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

პაატა გოგოლაძე ფრაქცია ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია **„ მოძრაობა ხარაგაულისათვის"** თავმჯდომარე.

მალხაზ ფხალაძე ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასრტუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (ონლაინ),

ინგა მაღრაძე ფრაქცია „თვითმმართველობა ხალხისათვის" თავმჯდომარე (ონლაინ).

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:
ვარლამ ჭიპაშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე
ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,
საკრებულოს აპარატი:
ლ. კალანდაძე - აპარატის უფროსი,
ზ. ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,
ნ. თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ,
ი. ჭიპაშვილი - საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე.
საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:
მ. შათირიშვილი - მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი,

ს. გლუნჩაძე - მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ოპერატორი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე ,

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 09 წევრი:

მომხრე 09

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა(თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვ. გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია 2022 წლის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების შესახებ და აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პრიორიტეტი არის ჯანდაცვა, განათლება და ინფრასტრუქტურა. ასევე ისაუბრა ბიუჯეტის საშემოსავლო და საგადასახადო პარამეტრების შესახებ.

ვ. ჭიპაშვილმა - მერის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტის შედგენისას მერია მაქსიმალურად შეეცადა პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის საკითხს და აღნიშნა მზაობა საკრებულოს მიერ შესაძლო შენიშვნებთან დაკავშირებით თანამშრომლობისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ შემოსავლების ზრდისა და მგზავრთა უსაფრთხოების მიზნით მერიის მიერ იგეგმება ჭკვიანი კამერების დაყენება.

აზრი გამოთქვეს:

მ. ბარბაქაძემ დააყენა წინადადება შ.ს.ს. წინაშე მერიის მიერ დაისვას საკითხი უკონტაქტო პატრულირებასთან დაკავშირებით.

დ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ მოსაწესრიგებელია ინტერნეტ მომსახურება, ფაქტიურად ვერ ვმუშაობთ, ასევე საოფისე ფართი, სადაც ორი კომისიაა განთავსებული, ამასთანავე დაინტერესდა ხელფასების მატების საკითხით.

ვ. ჭიპაშვილმა უპასუხა, რომ 10% მატებაზე სახელმწიფო დონეზე შეთანხმება გვაქვს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე, ეს გადასაწყვეტია როგორც ა.ა.ი.პ. ასევე საკრებულოს და მერიის ხელმძღვანელების მიერ. ჯერ - ჯერობით საკითხი არ დასმულა.

პ. გოგოლაძემ დაისვა წინადადება ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, მიმაჩნია, რომ ეს არის აუცილებელი მით უფრო ახლა, როდესაც პანდემია მძვინვარებს და ამ პატარა დარბაზში ერთმანეთზე ჩახუტებულები ვზივართ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 17 ნოემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 09 წევრი:

მომხრე 09

წინააღმდეგი 0

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 17 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

2. დაევალა საკრებულოს კომისიებს, ფრაქციებს საკითხის განხილვა და შესაბამისად დასკვნის და წინადადებების წარმოდგენა

3 დაევალა საკრებულოს აპარატს თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების დოკუმენტისა და დადგენილების პროექტების ადგილობრივ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს 2021 წლის 17 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე